

თიბისი ბანკი უფასო ტრეინინგების ციკლს ჩაატარებს

15 ნოემბერი, 2011 წელი - თიბისი ბანკის რუსთავის ფილიალის ორგანიზებითა და რუსთავის რაიონის გამგეობის ხელშეწყობით, ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის საბანკო საქმეში უფასო ტრეინინგების ციკლი ჩატარდება.

პროექტის მიზანია ქვემო ქართლის საკადრო რესურსის კვალიფიკაციის ამაღლება და დასაქმების სტიმულირება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

სასწავლო პროგრამა მოიცავს ბანკის სტრუქტურას, საქართველოში არსებული სესხების ტიპებს, საპროცენტო განაკვეთის გამოთვლას, საკრედიტო რისკებს, ფინანსური უწყისების შედგენას და ა.შ. სწავლების მეთოდოლოგია დაეფუძნება საბანკო საქმიანობაში არსებული რეალური სიტუაციებს მოდელირებას, რომლის საშუალებითაც მონაწილეები მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას საბანკო სფეროში მუშაობის პრინციპთან დაკავშირებით.

ტრეინინგები დაიწყება 21 ნოემბერს. თითოეული სასწავლო ჯგუფი 30 წევრისგან დაკომპლექტდება, სულ კი წლის ბოლომდე ტრეინინგს 120 მსურველი გაივლის. ტრეინინგის მონაწილეებს გადაეცემათ თიბისი ბანკის სერთიფიკატები.

ტრეინინგში მონაწილეთა რეგისტრაცია 15 ნოემბრიდან იწყება. მსურველებმა უნდა მიმართონ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის სამოქალაქო მისაღებს.

მის: კოსტავას გამზირი 20

ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ: 8(341) 22 47 15; ან 22 46 04;

<http://rustavi.unlimited.ge/?p=7371>

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერტიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიდერი დეპოზიტების ბაზარზე
- ◆ თიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარელების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ფლობს წამყვან პოზიციებს სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ წარმოდგენილია აზერბაიჯანის და ისრაელის ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B + and B
- ◆ Moody's: B 1 and Ba 3